# სახალხო გაზეთი

№ 664 ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 1912 წ. № 664

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ედირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; ... წერილები და კორესპონდენციები სულ არ ... თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. ... პარასკევ შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, კართ. „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონ. № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ. „ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ. **სახ. გაზ. კანტორა.**

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

**1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.**

**თვეში ღირს — — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 პაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში

---

**კნეინა სოფიო ედიშერის ასული ვახვახიშვილისა** აუწერელის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 4 აგვისტოს ქ. თელავში ღვთისმშობლის მიძინების საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი თავის ძვირფას შვილიშვილის ქ. ყაზანში უდროვოდ დაღუპულ

**მიშა ვახვახიშვილის**

სულის მოსახსენებლად. (1. 581. 1.)

---

**იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა გასასყიდად**

## ჩემი სიმღერა

რჩეული ლექსები გ. ახოსპირელისა. ფასი ორი შაური.

გამომცემელი ი. ალხანაშვილი. (3.1412.1)

---

## გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| საოპერაციო ავ. (ქირურგიული) | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო, ქალ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხულბკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვ. ავადმყოფ. | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $12^1/_2$—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3. |
| თვ. ავ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენ. ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (½. 1010.86)

---

**შეიძლება დაკვეთა:**

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად, 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 10 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.**
**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**
**გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან.**
**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—1153—3)

---

## შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭო

ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისათვის იწვევს

## ორს მასწავლებელს,

რომელთაგან თვითეულს მიეცემა ჯამაგირად წელიწადში 1008 მან. მსურველებმა თხოვნით უნდა მიმართონ სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს ჭიათურაში 1912 წლის **20 აგვისტომდე.** (3.1403.3)

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე აცხადებს,

რომ გიმნაზიის მოწაფეების გამოცდა

| | | |
|---|---|---|
| დაიწყება მე-3, 4, 5, 6 და 7 კლასებში | მარიამობისთვის | 20, |
| „ 1 და 2 „ | „ | 23, |
| „ მოსამზადებელ განყოფილებებში | „ | 25, |
| მისაღები ეგზამენები პირველს განყოფილებაში | „ | 25. |

სხვა კლასებში გიმნაზიის მოწაფეებთან ერთად.

მოწაფე, რომელიც თავის დროზე არ გამოცხადდება გამოცდაზე, აღარ იქნება მიშვებული ეგზამენებზე. ვისზედაც გასულის 1911/12 წლის სწავლის გადასახადია დარჩენილი, თუ არ გადიხდიან 1 ენკენისთვემდე, გამორიცხულად ჩაითვლებიან.

თხოვნები ახლად შემომსვლელთაგან მიიღება მხოლოდ 15 მარიამობისთვემდე. **გიმნაზიის კანცელარია ღია იქნება ოთხშაბათობით დილის 10—1 საათამდე.** (9—1384—7)

---

**გამოსულია და იყიდება**

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ | ფასი | 75 კ. |
| II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა“ | „ | 80 კ. |
| III „ „ნააზრევი“ | „ | 65 კ. |
| IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | „ | 85 კ. |

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 352)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. მოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“-ი.** (წლ—1018—49.

---

**ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—35)

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ.** (25—1178—74)

---

**ექიმი ს. ი. ბძელიშვილი** შიკნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, სიგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—17)

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. ...შვილისა.

---

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლ. სვანიშვილისა.

---

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი. ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25 1045 167)

---

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ. —1044—135

---

**ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.217)

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

---

**ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში. 3—9 საათამდე.

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., №


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**რუსეთის პრესა ალ. ხახანაშვილის გარდაცვალების შესახებ.** „რუსკია ვედომოსტი“ გულმხურვალე წერილებს უძღვნის პროფ. ალ. ხახანაშვილის ხსოვნას:

„სამარაში გარდაცვალებული ალ. ხახანაშვილის პიროვნებაში— სწერს ხსენებული გაზეთი—ეთნოგრაფიამ და ქართველმა ინტელიგენციამ სერიოზული ძალა დაჰკარგა, კავკასიის შვილი, იგი სიკვდილამდე ერთგული დარჩა თავისი ქვეყნისა, თუმცა მომეტებულ ნაწილად მოსკოვში ცხოვრობდა. ეთნოგრაფიის გარდა ხახანაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ისტორიისა, არქეოლოგიისა და ლიტერატურის ისტორიის წინაშე. განსვენებული არც პოლიტიკურ მოღვაწეობას ერიდებოდა. იგი ბევრსა სწერდა პუბლიცისტურ თემებზე, რომლებიც ადგილობრივ საქმეებს ეხებოდა. მისი ნაწერები მრავლად იბეჭდებოდა, როგორც რუსულს, ისე ქართულს ჟურნალ-გაზეთებში. საზოგადოდ იგი თითქოს შუამავალი იყო რუსულსა და ქართულ საზოგადოების შორის და ბევრი რამ გააკეთა მათ გასაცნობად და დასაახლოვებლად. ეს მეტად დიდი ღვაწლია მისგან და ამიტომ მის სახელს კეთილად მოიხსენიებენ ისინიც კი, ვინც მის მის სპეციალურს სამეცნიერო ცოდნას ვერ მისწვდებიან“.

***

გაზ. „უტრო როსიი“ დაწვრილებით აღწერს გარდაცვალებულ პროფესორის ცხოვრება-მოღვაწეობას და სხვათა შორის, ამბობს:

„განსვენებულმა დასტოვა მრავალი შესანიშნავი ნაშრომი ქართულსა, რუსულსა, ფრანგულსა და გერმანულ ენებზე. მისი დიდი შრომა „ქართულ სიტყვიერების ისტორიული მიმოხილვა“ რომელიც მეოცე საუკუნემდე მიიყვანა, 4 დიდ წიგნად გამოვიდა რუსულსა და ფრანგულ ენებზე. ცნობილია აგრეთვე მისი მონოგრაფიები საქართველოს ისტორიისა. ახალგაზრდობიდანვე თანამშრომლობდა ქართულსა და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, სადაც ნათლად არკვევდა ისტორიულსა, საზოგადოებრივსა და პედაგოგიურ საკითხებს. წევრი იყო მრავალი სამეცნიერო და განმანათლებელი საზოგადოებისა, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში“.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**წყალკურთხევა.** დღეს, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში საქართველოს ეგსარხოსის მოადგილე ეპისკოპოსი პიმენი სწირავს. წირვის შემდეგ შემოსილი სამღვდელოება ლიტანიით გაემართება ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილში და იქ აუზში წყალს აკურთხებს. წყალკურთხევა წინად ყოველ წელიწადს ხდებოდა 1 აგვისტოს. მოსპობილ იქმნა ეს წესი 1905 წელს და ისევ შემოღებულ იქმნა შარშანდლიდან.

**სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** გუშინდლამდე ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანა და საარჩევნო სიებში ჩაწერა ითხოვა 33 ბინის დამქირავებელმა, რომელიც ბინის სახელმწიფო გადასახადს არ იხდის. დანარჩენს სიებში გუშინ არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**ტიმოშკინის ცენზი.** როგორც ვწერდით, ქალაქის გამგეობამ სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო სიაში წელს აღარ შეიტანა მესამე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი თ. თ. ტიმოშკინი, რადგანაც ცენზი არ აღმოაჩნდა. გუშინ ქალაქის ხარჯის ამკრეფმა ინსპექტორმა ქალაქის გამგეობას აცნობა, იმ პირთა სიაში, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ სავაჭრო-სამრეწველო ცენზის მიხედვითაო, შემთხვევით გამოვსტოვე ტიმოშკინიო.

**ქართ. დრამ. საზოგადოების** გამგეობა სკოლისათვის სადგომს თავად-აზნაურობის ქარვასლის მარცხენა მხარეს აწყობს თეატრის გვერდით. ამისათვის ქარვასლის ზოგიერთ შენობებს გადაკეთებას უპირებენ. სკოლასთანვე აპირებენ სცენის მოწყობას, რომელიც რეპეტიციებისათვის დასსა სჭირდება.

ქართულ დასის ახალი **რეჟისორი** ვ. შალიკაშვილი ამ ჟამად ტფილისშია და შეუდგება მომავალ სეზონისათვის რეპერტუარის შემუშავებას.

**კავკასიის ნამესტნიკის მოადგილემ** ტფილისის გუბერნატორის წარდგენის მიხედვით, ნება დართო მე-4 სახელმწიფო სათათბიროს გამო შემდგარ სამაზრო კომისიებში თავად-აზნაურთა წინამძღოლების მაგიერ მიიწვიოს მონაწილეობის მისაღებად: ახალციხის მაზრაში—აზნაური იაკობ იოსების ძე ორბელიანი და ახალქალაქისაში, მემამულე მუსტაფა ბეკ ფაგრატ ზადე ფალავანდიშვილი.

გუშინ, დილის მატარებლით, ტფილისს დაბრუნდნენ **ექსკურსანტები,** რომელნიც 28 ივლისს ბორჯომსა და ბაკურიანს გაემგზავრნენ. შაბათს ბორჯომში გაათიეს ღამე და დილით ბაკურიანისაკენ გაემგზავრნენ, სადაც საღამომდე დარჩნენ; ფეხით წავიდნენ ცხრა წყაროსაკენ. იქ ღამით ავიდნენ მზის ამოსვლის საცქერლად და ღამით უკანვე დაბრუნდნენ.

**შეიპყრეს** ქუთაისის მაზრის სოფელ დაბაძველას მცხოვრები აპოლონ (იგივე ქიქიკო) ალექსის ძე გვენეტაძე, რომელიც დიდი ხანია პოლიციას ემალებოდა და ტფილისში ოჰანეზ ფარსადანოვის პასპორტით სცხოვრობდა.

**წალკის წყაროების დასათვალიერებლად** წასულნი ხმოსნები გუშინ ტფილისში დაბრუნდნენ. თან მოიტანეს წყაროების ფოტოგრაფიული სურათები და მრავალი საინტერესო მასალა.

**სასანიტარო კომისიამ** 30 ივლისს, ქალაქის მეშვიდე საპოლიციო უბანში, ხილის დუქნები დაათვალი-

ერა და ბევრგან უვარგისი ხიდი მოსპო. სასანიტარო დადგენილებათა დარღვევისათვის კომისიამ 4 ოქმი შეადგინა.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი** ამ ჟამად კისლოვოდსკში იმყოფება.

✦ **გორის ეპისკოპოსი ანტონი** ახალ ათონიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ოლგას საბებიო ინსტიტუტის** დირექტორმა ა. რ. ფიშერმა სამსახურს თავი დაანება. მის ადგილას ექიმი ე. მ. სობესტიანსკი დანიშნეს.

✦ ცნობილი მომღერალნი ვ. სარაჯიშვილი და ი. ტომაშევიჩი, აგრეთვე ჩვენი დამსახურებული მსახიობები ვ. აბაშიძე და ვ. გუნია ამ დღეებში წავლენ პროვინციაში, სადაც კონცერტებსა და წარმოდგენებს გამართვენ. მათ თან გაჰყვება ჩვენი მექანდაკე ი. ნიკოლაძე, რომელსაც მიზნად აქვს გაეცნოს საქართველოს სხვა და სხვა კუთხის ეთნოგრაფიას, ბუნებას და ხალხის ცხოვრებას. ისინი წავლენ ჯერ კახეთში, სადაც სიღნაღში და თელავში გამართავენ კონცერტებს.

✦ **პ. პ. არხიპოვი,** მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებული, გუშინ ბათომიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ 30 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქ. თელავის მცხოვრები სოფიო ალექსანდრეს ასული კიკნაძე (მკერვალი ქალია) სპარსეთის საელჩოს კანცელარიაში მივიდა და ამავ კანცელარიის საგანგებო საქმეთა მოხელეს მეჰტი ხან ალაბეკოვს რაღაც სითხე (საწამლავი) შეასხა, რომელმაც ალაბეკოვს სახე და ერთი თვალი ძალიან დაუშავა. ქალი შეიპყრეს.

✦ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** სამსახურის საქმეთა გამო დუშეთის მაზრას გაემგზავრა.

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის მეექვსე ნაწილის** გამგემ ინჟინერმა მარკოვმა ტფილისის ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ ფეიერვერკის ბოლოში მდებარე რკინის გზის ხიდი უნდა გადაკეთდეს და თანაც აცნობა, რომ ხიდი დაბლა დაიწევს, რის გამოც გვირაბიც დაპატარავდება, ეს კი გამოიწვევს წყალსადენის მილების დაწევასაც; ამიტომაც ინჟენერი სთხოვს გამგეობას, ეხლავე გასცეს შესაფერი განკარგულება. ქალაქის გამგეობამ მაშინვე სთხოვა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროს შეაჩეროს მუშაობა, რადგანაც გვირაბის დაპატარავება, ძლიერ შეუშლის ხელს რკინის გზის იქით მცხოვრებლებს, რომელნიც ამ გზით დადიან. ასეთივე თხოვნით მიმართა გამგეობამ ტფ. გუბერნატორს.

✦ ხორცის ნიხრის დარღვევისათვის გუშინ ოქმები შეუდგინეს 13 ყასაბს, რომელიც მეხუთე უბანში ვაჭრობენ; მამად ალაზ მუტაფა-ოღლის, პირ მამად ალაშეკოვს და მიკიჩ კარაპეტ-ს ძე წატუროვს.

✦ 30 ივლისს ტფილისში 0 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** დღეს, საღამოს, საზოგადოების საბჭოს მესაქონლეობის სექციის კრება მოხდება. კრება მოისმენს მოხსენებას საგანგებო კომისიისას, რომელმაც კაიშაურის ველი მოიარა მერძეობის შესასწავლად.

— ხვალ საზოგადოების საბჭოს კრება მოხდება, განხილულ იქნება საკითხები, რომელთაც კავშირი აქვთ მოსკოვში განზრახულ მეცხვარეობის გამოფენაში მონაწილეობის მიღებასთან.

✦ დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე, ტფილისის საგუბერნიო **საქალაქო საქმეთა საკრებულოს** კრება მოხდება: განსახილველია: 1) ქალაქის საბჭოს დადგენილება ვერაზე მელიქ აზარიანცის მამულის გვერდზე ქუჩის გაყვანის შესახებ. 2) ქალაქის საბჭოს დადგენილება შტატ გარედ დარჩენილ 15 მეფარნისათვის შემწეობის დანიშვნის შესახებ; 3) კოჯორის 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება, 4) საბჭოს დადგენილება ჰოსპიტლის გზატკეცილსა და ნავთლუღის ხრამს შუა ახალი ქუჩის გაყვანის თაობაზე და სხვა.

## ქუთაისი.

✦ აკადემიკოს **ნ. მარი.** ქუთაისიდან სვანეთს გაემგზავრა.

✦ **ქუთაისის ებრაელები** აარსებენ პირველდაწყებით სასწავლებელს და გამგედ იწვევენ „მკურნალის გიმნაზიაში“ ნამასწავლებლარს სოფიო ნიკოლოზ ტყეშელაშვილის ასულს.

✦ **თ-დი უჩა დადიანის** საქმე კავკავში პალატის სესია 11 ოქტომბერს გაარჩევს. („კოლხ.“)

✦ როგორც გავიგეთ, ქუთაისის ქართულ დარამატიულ საზოგადოებას განზრახვა აქვს მომავალ სეზონში მოიწვიოს ქ-ნნ ო. ლეჟავა და ცაცა ამირეჯიბი.

## გორი

✦ ნიკოლოზ გრეხაშვილმა დანით მძიმედ დასჭრა მარცხენა გვერდში მართა რაზმაძის ასული.

## ახალციხე

✦ ახლო მომავალში პ. შოთაძე ი. ზარდალიშვილის, და ი. გრიშაშვილის მონაწილეობით გაიმართება იუმორისტული წარმოდგენა სალიტერატურო განყოფილებით... აქედან გაემგზავრებიან წალვერს, აბასთუმანს, მორჯომს, ბაკურიანს და სხვა.

## სოფლად

✦ **ტფილისის მაზრა. კოჯრის** გზატკეცილზე, ტფილისიდან სამი ვერსის მანძილზე ე. ა. ფ.-ს ქალს, შეხვდენ კოჯრიდან მომავალი მეეტლე დარჩიანცი და მეხილე დალაქიშვილი, რომელთაც ქალი გააჩერეს და ნამუსი ახადეს. ორივენი შეიპყრეს.

✦ **გორ-ს მაზრა. სოფ. ჯაფინაური.** ტყეში ახლად დაბადებულ ბავშვის გვამი ნახეს. გვამი ჩვრებში იყო შეხვეული, თავი გატეხილი ჰქონდა.

✦ **თელავის მაზ.** სოფ. ვაჩნაძიანში პატარა ბიჭმა გიორგი სამადაშვილმა, როსტომ კაპალიანის რევოლვერს ათვალიერებდა. რევოლვერი უეცრად გავარდა და სამადაშვილის ძმას ზ ქროს მოხვდა, რომელიც იქვე გარდაიცვალა. კაპალიანი, იარაღის ტარების ნებართვის უქონლობისათვის პასუხის გებაში მისცეს.

✦ **დუშეთის მაზრა.** სოფ. ბაყაყურისა და რაშას მახლობლად ხანჯლებითა და კომბლებით შეიარაღებული ოთხი უცნობი თავს დაესხა მოსე და გიორგი აფხაზიშვილებს, წაართვეს 28 მანეთი და პასპორტი. ბოროტ-მოქმედნი ვერ აღმოაჩინეს.

✦ **თიანეთის მაზრა.** სოფ. ხოორკატოსა, ადგილებ.: „მიტხოს ქალა“-სა და „ფარსმის თავიდან“ გროზნოს ქისტები თითქმის ყოველ დღე სძარცვავენ ადგილობრივ მცხოვრებთ. ნაძარცვ საქონელს ხეობისაკენ ერეკებიან რის გამოც უკან გამოდევნება შეუძლებელია, რადგან ბერდანკებით შეიარაღებულნი ერთი ვერსის მანძილზე არ უშვებენ მდევარ გლეხებს. ამ დღეებში ქისტებმა წაასხეს ოთხი ძროხა და ცხენები.

✦ სოფ. **სავანლიანი** (ტეზერი) აქაურმა მცხოვრებელმა თედო მარიგველაშვილმა დანით ილია ზუბიტიძე მოჰკლა.

✦ **სოფ. არაშენდა.** ძმ. მარკოზ და ფილიპე ჯურაევი, ძმ. ილიკო, და ქიმიჩი, იაგორა და ქურგოვ ბალაურები და აგრეთვე მამა მათი ვანქა ბალაური თოფებით და რევოლვერებით შეიარაღებულნი ჩავიდნენ სოფ. გვერცევში და გაიტაცეს ქალთუ თედიაშვილისა.

✦ **ახალციხის მაზრა.** ამას წინად მოსულმა სეტყვამ და ნიაღვარმა სოფ. ორჭოშნისა, წარბასტუმანსს, და მარელში დიდი ზარალი მიაყენა სოფლელებს. გაანადგურა 492 დესეტინა ნათესი. ზარალი 23,287 მანეთს აღემატება.

✦ **კასპი** (ქართლი). 29 ივლისს, ნაშუადღევის 6—7 საათზე, სოფ. კასპის გასწვრივ, მტკვარში ბანაობდა რამდენიმე ადამიანი, ერთი მათგანი წყალმა ჩაძირა. უექველად დაიხრჩობოდა, რომ დროზე არ მიშველებოდენ სოფ. კასპში მცხოვრები ლადო ხმიადაშვილი და ბაქოს გიმნაზიის მე-VI კლასის მოწაფე გიორგი ქარუმიძე. იგი გადაარჩინეს.

✦ **სოფ. მოხისი.** ძთვრალმა ტარიელ კვალიაშვილმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა ნიკოლოზ ტურაშვილი.

✦ **სოფ. ციხის ჯვარი.** უცნობმა ბოროტმოქმედმა ლაზარე უზუნგერ ოღლის სახლიდან გაიტაცეს 200 მანეთის ნ ვთები და საზღვარ გარეთის პასპორტი.

## აკაკის მოგზაურობა.

მექვენაში დაგვხდა დერჩის საზოგადოება; აუარებელ ხალხს განურჩევლად სქესისა და წოდებისა მოეყარა თავი, ჩამწკრივებულიყვნენ მისავალთან, სადაც გაეკეთებინათ და სურო-ფოთლებით მოეკაზმათ (თაღი) წარწერით „სალამი მგოსანს“. ქალების გუნდმა ახვლედიანის მეუღლის ლოტბარობით იმღერა მისაგებებელი სიმღერა მშვენიერის ხმით; მგოსანს მოართვეს ყვავილებ-ფოთლებით მორთული სავარძელი, ჩასვეს, ასწიეს მაღლა და „ვაშას“ ძახილით, ყვირილით და სიმღერა-გალობით ჩაიყვანეს სოფლის სამმართველოს ეზოში, სადაც გაშლილი იყო ფანჩატურში 10—12 საჟენის სიგრძეზე ქართული სუფრა; ეზოს შესავალში მოწყობილ კამარაზე იყო შემდეგი წარწერა: „მობრძანდით სასიქადულო მამულიშვილო!“ წინ მგოსანს მიუძღოდნენ პატარა ქალები და ყვავილს უფენდნენ გზაზე; ასეთი დიდებით ჩაიყვანეს მგოსანი ეზოში და დასვეს მისთვის მომზადებულ ადგილზე. დიდებული შეხვედრა იყო, შეუძლებელია აწერა ყოველივე იმისი, რაც იქ ხდებოდა ხალხში; დიდი და პატარა აღტაცებულნი და გახარებულნი იყვნენ საყვარელი მგოსნის ხილვით; მიდამოს სადღესასწაულო ელფერი ედო; ბუნებაც ხელს უწყობდა; ცოტად მოღრუბლული იყო და სასიამოვნოდ გრილოდა. აქაურ სურათის დანახვაზე ადამიანს ტანში ჟრუანტელი უვლიდა და თვალებზე სიხარულის ცრემლები მოადგებოდა. ეზოში მგოსანს ასათიანის პატარა ქალმა უთხრა ლექსი „გვირგვინი“ და მიართვა თაიგული,

მგოსანმა აიყვანა ბავშვი ხელში მიუალერსა და აკოცა; შემდეგ მგოსანს მისცეს ხელში ხუთი-ექვსი წლის პატარა გოგონა წერეთლისა და გადაიღეს სინემატოგრაფ-ფოტოგრაფით. პირველი საათის ნახევარზე გაიმართა სადილი; ადღეგრძელეს მგოსანი; მრავალი სიტყვები წარმოითქვა, ამას მოჰყვა ეროვნული სიმღერები, მომღერალი ქალების ლოტბარი სიმღერა, და სხვა.... სადილი გაგრძელდა ორ საათს; ქალებმა ყანწებით და კათხებით ხელში ადღეგრძელეს მგოსანი, მგოსანმა მოკლე სიტყვით მიმართა ქალებს. სადილის გათავებისას ქალების გუნდმა უმღერა აკაკის განშორების სიმღერა; მგოსანი ისევ სავარძელში ჩასვეს, ასწიეს მაღლა და სიმღერით, ვარდებ-ყვავილების მოფენით გაატარეს ასი საჟენის მანძილზე და ჩასვეს ეტლში, გამოემშვიდობნენ და გაისტუმრეს „ვაშას“ და „გაუმარჯოს“ ყვირილით. მშვენივრად იყო წესრიგი დაცული სარდ. და ეკატ. ახვლედიანების და მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ. ნაშუადღევის ორ საათზე ეტლები დაიძრა და გავსწიეთ; მგოსნის ეტლს წინ მიუძღოდა მომღერალი ცხენოსანი, რომლებმაც გაგვაცილეს ათი ვერსის მანძილზე. ეს მხიარული და დიდებული გაცილება გადაღებულ იქნა სინემატოგრაფით და ფოტოგრაფით.

მეხუთე საათის ნახევარზე მივაღწიეთ ალფანას; აქაც მოგვეგება რამდენიმე ასი კაცი და ქალი; მგოსანს მიართვეს პურ-მარილი და მოკლე მისასალმებელი სიტყვები უთხრეს თავ. ერმალო გელოვანმა, ნიკო კუპრაშვილის ხუთი წლის პატარა ქალმა მოხდენილად წაუკითხა ზეპირად მგოსნის ლექსი „მთა წმინდა ჩაციკრებულა“ და ვარდების კონა მიართვა; მგოსანმა აიყვანა ხელში პატარა ქალი და გადაიღო სურათი, აქ დადეშქელიან-გელოვანებმა სთხოვეს მგოსანს უწერიდან დაბრუნებისას შეეხვია ლაილაშ-ცაგერში და იქაურებიც გაებედნიერებია ნახვით; მგოსანმა აღუთქვა დაბრუნებისას ლაილაშში შევლა. ნახევარი საათის შემდეგ გავაგრძელეთ გზა, საზოგადოებამ მგოსანი გაისტუმრა დიდი ამბით. თან და თან გრილოდა, სალამოს სიომ მოჰბერა. შეუდექით მთებს და ყანებს, მეეტლეებმაც ჰალოში დააქანეს ცხენები; მგოსანი მხლებლებიან მხიარულად გრძნობდა თავს; ბუნება თან და თან ლამაზდებოდა და დიდებული სურათები გვეშლებოდა თვალწინ,

მიუახლოვდით სადგურ ქრებალოს (ქვიშის საზოგადოება); გზის პირად ჩამწკრივებული იყვნენ 24 ცხენოსანი მგოსნის შესაგებებლად; სალამის შემდეგ, შემოეხვივნენ გარს მგოსნის ეტლს და სიმღერით გაუძღვნენ წინ; შეხვედრა გადაღებულ იქნა. მივედით ქრებალოში საღამოს შვიდ საათზე. შესავალთან მორთული იყო კამარა, პურის თავთავისაგან გამოყვანილი იყო ასოები, ამოვიკითხეთ შემდეგი წარწერა „ქრებალო“ „აკაკის გაუმარჯოს“, „შუაზედ ეკიდა მგოსნის სურათი, მთელი ერთი ვერსის სიგრძეზე ჩამწკრივებული იყო ხალხი, იქნებოდა რიცხვით ხუთი ათასი სული; გახდა თოფების და დამბაჩების გრიალი „ვაშას“ ყვირილი და ერთი ამბავი. დუქნები და სახლები სადღესასწაულოდ იყო მორთული. მგოსანი სავარძლით ასწიეს და შეიყვანეს ნოხებით (ხალიჩებით) მორთულ დარბაზში, სადაც ათიოდე წუთი დაისვენა.

შემდეგ გამოვიდა დერეფანში და სალამი უძღვნა საზოგადოებას. აქ მიმართეს სიტყვებით სამღვდელოების წარმომადგენელმა დეკანოზმა ნ. ფრუიძემ, ქვიშის საზ. გლეხების წარმომადგენელმა ის. ლუხუტაშვილმა და საკუთარი ლექსი თავ. ქაიხოსრო გელოვანმა. მგოსანმა გადაკოცნა ისინი და ყველას მადლობა უძღვნა და თან მიმართა მოკლე სიტყვით, რომლის შინაარსი აქვე მომყავს:

„ბატონებო! მადლობას გიძღვნით ასეთი გულწრფელი თანაგრძნობისათვის, მაგრამ ეს სიტყვები მომართული ჩემდამი ცოტა არ იყოს გადაჭარბებულად მიმაჩნია; ქართველებს ჩვეულებადა გვაქვს და გვიყვარს გადაჭარბება; იმდენი ქება დიდების ღირსი არა ვარ. რაც შეეხება მას, რომ სხვა საქართველოს კუთხეები მოვიარე და თქვენი ქვეყანა, რაჭა-ლეჩხუმი, სადაც, როგორც ვხედავ, ქართული ენა და ზნე-ჩვეულება დაცულია უფრო წმინდათ, ვიდრე სხვა კუთხეებში ვერ ვინახულე, „ამაზედ მე ბოდიშს ვიხდი; მაგრამ ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი კუთხის ნახვა გადავდევი საბოლოოდ; როგორც სადილის გათავებისას სტუმარს მიართმევენ რაიმე გემრიელ ჩამანდს ან ტკბილეულს და ჩაუგემრიელებენ პირს, ისე მეც ვიფიქრე საბოლოოდ შემენახა თქვენი კუთხის დათვალიერება, რათა მოხუცებულობის დროს თქვენისა და თქვენის ქვეყნის ნახვით დავმტკბარიყავი და კიდევაც ამისრულდა“. საზოგადოებაში გაისმა ტაშის გრიალი და „ვაშას“ ძახილი. ამის შემდეგ მგოსანს ჩაი მიართვეს და მოასვენეს. ხალხიც დაიშალა მეტრე დილამდე. დარჩნენ მხოლოდ ზოგიერთი საპატიო პირნი ყოველი წოდების წარმომადგენელნი, რიცხვით 50-მდე. თორმეტ საათზე ცალკე დარბაზში გაიმართა დიდებული ვახშამი. თამადობა მიიღო თავ. ქაიხოსრო გელოვანმა, რომელმაც გრძნობიერი სიტყვებით ადღეგრძელა მგოსანი და მისი მობრძანება, მხლებლები, სამღვდელოება, თავად-აზნაურობა და გლეხები. იმღერეს სვანური და სხვა და სხვა ეროვნული სიმღერები, ვახშამი გაგრძელდა ღამის სამ საათამდის,

კვირას, 29 ივლისისათვის, ქრებალოში დანიშნული იყო ლექციის წაკითხვა; 8-9 საათიდანვე დილიდა და პატარამ იწყო მოსვლა; 12 საათზე აკაკი გამოიყვანეს ოთახიდან, ჩასვეს მორთულ სავარძელში და ხელით ჩამოატარეს ქუჩები, იქით აქეთ იდგა

# იაპონური ზღაპრები

### პეპლები.

ლაფკადიო ჰიორნისა.

მინდოდა მეც ისეთივე ბედნიერი ვყოფილიყავ, როგორც ჩინელი მეცნიერი, რომელიც იაპონურ მწერლობაში „როზან“-ის სახელითაა ცნობილი. ის უყვარდა ორ ჰაეროვან, ციურ ქალწულს, დებს, ცხრა დღეში ერთხელა ნახულობდნენ და უამბობდნენ ზღაპრებს პეპლებზე, მომჯადოვებელ ზღაპრებს... მინდოდა მცნობოდა ისინი... მაგრამ არა მგონია ვისწავლო როდისმე კითხვა არა თუ ჩინურად, იაპონურადაც კი. იმ ცოტაოდენ იაპონურ ლექსებში კი, რომელთაც მე ძლივს ვიგებ, იმდენჯერაა მოხსენებული ჩინური წყაროები, რომ კითხვის დროს ტანტალის ტანჯვას განვიცდი. ამიტომაც არა მჯერა, რომ ჰაეროვანი ფერია მინახულებდეს...

მინდოდა მცოდნოდა, მაგალითად, მთელი მოთხრობა ჩინელ ქალწულზე, რომელიც ისეთი ნაზი, მშვენიერი იყო, რომ პეპლებს ყვავილი ეგონათ და უკან გუნდ-გუნდად დასდევდნენ.

მინდოდა მცოდნოდა რამე ხელმწიფე ჰენზოს, ანუ მინო-ჰვანის პეპლებზე, რომელნიც მას სატრფოს რჩევას აძლევდნენ ხოლმე...

თავის მშვენიერ ბაღებში ზეიმსა ჰმართავდა. აქ იკრიბებოდნენ მთელი ქვეყნის ულამაზესი ქალები. პეპლებს დაიჭერდნენ, უშვებდნენ ბაღში. ისინი კი არჩევდნენ უმშვენიერეს მათგანს და გარს ეხვევოდნენ. ხელმწიფეც სატრფოდ იმას ირჩევდა... მაგრამ ერთხელ ჰენზო ქოთეის იოქიჰიმი მოეწონა (ჩინელები მას იანღქვეი-ფეის ეძახიან) და არ უნდოდა პეპლებს სხვა ვინმე ამოერჩიათ. ამას კი საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა—იოქიჰიმ ჰენზოს დიდი ტანჯვავაება დაატეხა თავსა...

მინდოდა მეტი გამეგო ჩინელ მეცნიერზე, რომელსაც იაპონიაში სოოშუს ეძახიან. ძილში იმის სული დაფრინავდა პეპლის სახით, სცოცხლობდა, გრძნობდა როგორც პეპელა, გამოღვიძებისას კი არ შეეძლო სიცოცხლე, გრძნობა, როგორც ადამიანს... მინდოდა, ბოლოს, წამეკითხა ჩინური ნამდვილი წყარო ბუმბერაზ-პეპლებზე— ხელმწიფისა და იმის მახლობელთა სულებზე.

მეტი წილი იაპონურ მწერლობისა პეპლის შესახებ, ზოგიერთ მცირე ლექსების გარდა, ამოღებულია ჩინურ წყაროებიდან. შეიძლება ჩინურის გავლენის ქვეშვე განვითარდა პეპლისადმი ძველი ნაციონალური ესთეტიზმი, რომელმაც ისეთი მომხიბლველი განსახიერება ჰპოვა იაპონურ ხელოვნებაში, ზნე-ჩვეულებაში, სიმღერებში. ეს არის მიზეზი, რომ იაპონელი მხატვრები და პოეტები ისე ხშირად ირჩევენ ისეთ ლეიმიოსს (ფსევდონიმს), როგორც მაგალ.: ჩოომუ (პეპლის ოცნება), ითჩოო (მარტოკანა პეპელა) და სხვ. მოცეკვავე ქალებს კი დღემდე უყვართ ლეიმიოჩოოპანა (პეპელა-ყვავილი, ჩოოქიჩი (პეპლის ბედნიერება), ჩოონოზუქე (პეპლის დახმარება).

ამგვარ ლეიმიოსს გარდა ხალხში ძალიანაა გავრცელებული სახელი ქოჩოო ანუ ჩოო-პეპელა. ამ სახელს ჩვეულებრივად ქალებს არქმევენ, მაგრამ არსებობს გამონაკლისიც... მოვიხსენებ კიდევ თავისებურ, ძველ ჩვეულებას, რომელიც მუთსუს მაზრაშია დაცული. ამ ჩვეულებით უმცროს ქალს „მუთსურად“ თექონას —„პეპელას, ანუ “კეკლუცს“ არქმევენ.

შეიძლება ზოგიერთი იაპონური ლეგენდებიც პეპელაზე, სავსე ღრმა მისტიციზმით, ამოღებულია ჩინური წყაროებიდან. მაგრამ ეს ლეგენდები უექველია თვით ჩინეთზე ძველია. ვგონებ ყველაზე საინტერესო ის ლეგენდაა, რომ ცოცხალ ადამიანის სულს შეუძლიან პეპლის სახე მიიღოს. ბევრ მომჯადოვებელ ფანტაზიის წყაროდ შეიქმნა ეს რწმენა. თუ პეპელა შემოფრინდა სასტუმროში და ინდოეთის ლერწმის შირმას (ლერწმის ფარდა) მოეფარა, სტუმრად მახლობელი, საყვარელი ადამიანი გეწვევათ. თუ პეპლის სახით ხშირად იმალება ადამიანის სული, შიში მაინც არა გმართებს. მაგრამ ხანდისხან პეპლებიც საშიში ხდებიან ხოლმე, როცა ბლომადა ჩნდებიან. იაპონიის ისტორიაში ასეთი შემთხვევა იყო: თაირა ნომასაქადომ აჯანყება რომ მოამზადა, ტოკიოში გაჩნდა პეპლების ვეება გუნდი. ხალხი შიშის ზარმა მოიცვა ყველამ უბედურების მომასწავებლად მიიღო. შეიძლებოდა ეს პეპლები სულები ყოფილიყო იმ მრავალი ათასი ხალხისა, რომელიც ბრძოლის ველზე უნდა დახოცილიყო და ეხლა, გრძნობდნენ რა სიკვდილის მოახლოვებას, დაფრთხიალებდნენ სისხლის ღვრის წინადღეს სიკვდილის კავშნით მოცულნი....

იაპონელთა რწმენით პეპელა შეიძლება იყვეს სული როგორც ცოცხალ ადამიანსა, ისე მიცვალებულისა. ისიც კი სწამთ, რომ სული ყოველთვის პეპლად იქცევა ხოლმე, როცა სხეულს სამუდამოდ ეყრება. ამიტომ პეპელა რომ სახლში შემოფრინდება, სიამოვნებით უნდა მიიღოთ.

ამ რწმენას და მასთან დაკავშირებულ ბევრ საოცნებო რასმეს, ხშირად შეხვდებით სახალხო დრამატიულ ხელოვნებაში. ცნობილ ტრაღედიაში „თონდე-დეროუქოჩოონ-ო-ქანზა“-ში (ქოჩოოს ფრთებიანი ქინძისთავი) ჩვენ ვხედავთ მზეთუნახავ ქოჩოოს. მან თავი მოიკლა, რადგან უსამართლოდა სდებდნენ ბრალსა, სასტიკად აწამებდნენ. უნდოდათ ქოჩოოს სისხლი აიღონ, მაგრამ დამნაშავეს ვერა პოულობენ. ქოჩოოს ქინძისთავი იქცევა პეპლად და იმ ადგილს დასტრიალებს სადაც დამნაშავეა დამალული, მას მალე პოულობენ და შესაფერისადა სჯიან.

რასაკვირველია აზრათაც არავის მოსდის იდუმალი, ზესთაბუნებრივი მნიშვნელობა მიაწეროს ქორწილის დამამშვენებელ დიდ ქაღალდის პეპლებს (ო-ჩოო და მე-ჩოო). ისინი მხოლოდ სიმბოლოა ბედნიერების, სიყვარულისა და კავშირისა, სიმბოლოა იმ იმედისა, რომ ახლად დაქორწინებულნი გაიფრენენ ცხოვრებას, ვით პეპლები მშვენიერს ბაღს, თამაშობით, მხიარულად, განუყრელად.

აი პატარა ლექსთა კრებული (ჰოქუ). აქედან დაინახავთ როგორ უყვარს, უმშვენიერესადა ჰყავს იაპონელს პეპელა დასახული. ზოგი მათგანი ჩვიდმეტ მარცვლოვანი, პატარა, საფერადო ესკიზია, ზოგი მომხიბლავი ფანტაზია, ანუ ნაზად აღძრული ზეალმაფრენა, მაგრამ დიდ სხვა ფეროვნებას წარმოადგენენ. შეიძლება თვით ლექსებმა დიდი შთაბეჭდილება არ მოახდინონ. იაპონური ეპიგრამები კაცს უცებ არ მოეწონება, მათ უნდა შეეჩვიოთ, მთელ მათ მშვენიერებას მოთმინებით შესწავლის შემდეგ დაინახავთ. განუსჯელი კრიტიკა ფასს არა სდებს ამ ჩვიდმეტმარცვლოვან ლექსებსა. მაგრამ აი ცნობილი სტრიქონი ინგლისელ პოეტ კრეშოუსი კანაში ქორწილზე მომხდარ სასწაულზე: Numpha p dica deim vid t et erubuit. (უმანკო ფერიამ რა დაინახა ღმერთი, წამოწითლდა). თოთხმეტი მარცვალია მხოლოდ, მაგრამ უკვდავი მშვენიერებაა მათში!.. ჩვიდმეტმარცვლიანი იაპონური პოეზიაც ასევე მშვენიერია და კითხვის დროს ხვდებით არა ერთხელ და ორჯელ, არამედ ათასჯერ. ქვემოდ მოყვანილი ჰოქუ (პატ. ლექსები) კი, რომელიც მარტო ლიტერატურულ მოსაზრებით არ მომყავს, უბრალო და ჩვეულებრივია:*)

წუჰი-ქაქურუ
ჰაორი სუღათა ნო
ქოჩოო-ქანა!

(გადასრიალებული ჰაორი**) პეპელა მგონია).

—

ნერუ-უჩი მო
ასობუ უმე უოიი—
ქუსა ნო ჩოო!

(ძილშიაც კი თამაშობაზე ჰროტავს—მინდვრის პეპელა!)

—

ოქი, ოქი იო!
ვაჰა თომუ ნი სენ,
ნერუ-ქოჩოო!

(გაიღვიძე, გაიღვიძე, მძინარე პეპელავ, მინდა გეთამაშო!)

—

ჩოოჩოო ია!
ონნა ნო მიჩი ნო
აოო ა საქი!

(ოჰ, პეპელა! ქალს დასტრიალებს თავსა, ხან ჩამორჩება, ხან გაუსწრობს!)

—

ჩოოჩოო ია!
ჰანა ნუსუბითო უო
ფსუქეთუ უქუ!

(ოჰ, პეპელა! დასდევს უკან მათ, ვინც ყვავილებსა სწყვეტს!)

—

აქი ნო ჩოო—
თომო ნაქერებაა;
ჰითო ნი თსუქუ!

(შემოდგომის მოწყენილი პეპელა!.. ტოლი რო დაჰკარგა, კაცს გადაეკიდა!)

—

ჩოო უა მინა
ჯიუ შიჩი-ჰაჩი ნო
სუღათა ქანა!

(ყველა პეპლები ნორჩნი არიან, ვით ჩვიდმეტი წლის ქალწულნი!)

—

ჩოო თობუ ია—
ქონო იო ნი ურამი
ნაქი იო ნი!

(პეპლა უზრუნველა თამაშობს, თითქოს ქვეყნად სიძულვილი არ იყოს!)

—

მუთსუმაში ია!
უმარე ქაუარაბა
ნობე ნო ჩოო!

(ჩვენ რომ მეორედ პეპლებად წარმოვშობილიყავით, იქნება ერთად ბედნიერი ვყოფილიყავით!)

—

ნადეშიქო ნი
ჩოოჩოო შიროში
თარე ნო ქონ?

(თეთრი პეპელა წითელ ყვავილზე დაჯდა. ვისი სულია ესა?)

—

ჩოო უო ოუ
ქოქოოროო მოძითასი
ითსუმადემო!

(მსურდა სამუდამოდ შემრჩენოდა სულიერი სინორჩე და პეპლებთან თამაშობის სიყვარული.)

ამ პოეტურ ნიმუშების გარდა, პეპელაზე მხოლოდ ერთი მოთხრობა მაქვს. ეს მოთხრობა, რომელიც დიალოგს წარმოადგენს ავტორსა და პეპელას შორის, ამოღებულია ძველ ფრიად თავისებურ წიგნიდან „მუშისამე“-დან („მწერთა დარიგებანი“) ეს დიდაქტიური ალეგორიაა (იგავარაკი) სოციალურ აყვავებისა და დაცემის ზნეობრივი მნიშვნელობის შესახებ. მომყავს თავისუფალი თარგმანი.

„გაზაფხულის მზეა, ნაზი ნიავი, მრავალფეროვანი ყვავილები, ფაფუკი ბალახი... გული კაცისა ხარობს..

*) ლექსები მოყვანილია ბლომად, დრო და ალაგი კი რომ არ დავკარგოთ, მომყავს ზოგიერთები. ს.-გ.

** ღია აბრეშუმის წამოსასხამი, რომელსაც ატარებენ ქალები და კაცები. ს.—გ.

საზოგადოება, იქნებოდა დაახლოვებით 4—5 ათასი კაცი და ქალი; აკაკი მიიყვანეს ქუჩის ბოლოში მორთულ კათედრასთან და დასვეს. გარშემო შემოესია ეს ამოდენა ხალხი; მგოსანმა დაიწყო თავისი ლექცია, რომელშიაც ჯერ ილაპარაკა საქართველოს არქეოლოგიური ნაშთების, ძველი მონასტრებ-ტაძრების და ძველი ნივთების შესახებ. მეორე ნახევარში კი ზეპირ-სიტყვაობის მნიშვნელობის და შეკრების შესახებ.

ლექციის შემდეგ გამართულ იქმნა ნადიმი მინდორში ას წლოვან ცაცხვის ქვეშ მორთულ ფანჩატურში; მონაწილეობა მიიღო 200 სულმა. თამადობა მიულოცეს თავ. ქაიხოსრო გელოვანს. წარმოითქვა მრავალი სიტყვები; ილაპარაკეს გრ. დიასამიძემ, მღვდელმა ვლ. ბოჭორიშვილმა, რ. ლეჩხუმელმა, ირ. ცხვედიანმა და ტოლელმა მუშამ ბეს. მუსელიანმა; გლეხებს მგოსანმა თავის სადღეგრძელოში უთხრა: „ქვეყნის ხსნა შრომის მოყვარეობაზეა დამყარებული, მშრომელი ხალხი კი თქვენა ხართ და თქვენ უნდა დაამგვიროთ? ეს თქვენ მიერ ნათქვამი სიტყვები, ამასთანავე საქართველოს ურთიერთი დამოკიდებულება გლეხებ-თავად-აზნაურებთა შორის, რომელიც აგრეთვე დამყარებულ უნდა იქმნას ეროვნულ მიმდინარეობაზეო“. მგოსანმა სთითაოდ გადაჰკოცნა მოლაპარაკენი. შემდეგ განსაკუთრებით ადღეგრძელა მგოსანმა ქალები, უსურვა მათ ნამდვილი ძველებური ქართული დედობა და მამაკაცებთან ერთად კულტურული მუშაობა.

წარმოითქვა სადღეგრძელოები აგრეთვე ახალგაზრდობის, ქართველი ერის აღორძინების შესახებ და სხვა...

შემდეგ გაიმართა ლეკური და ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა მონაწილეობით ცეკვა, რომელიც გადაღებულ იქმნა ფოტოგრაფ-სინემატოგრაფით, შემდეგ მოჰყვა სვანური და სხვა და სხვა სიმღერები. სადილის გათავებისას მგოსანს ქუთაისის საზოგადოებისაგან მიართვეს საჩუქრად ოქროს სურა წარწერით: „მხცოვან მგოსანს, სასიქადულო მამულიშვილს აკაკის ნიშნად გულითადი სიყვარულისა“.

პოეტმა მადლობა უძღვნა საზოგადოებას და უთხრა: „თუმცა ყოველივე ნივთიერი საჩუქარი სუსტი და წარმავალია, მაგრამ ეს თქვენ მიერ მოძღვნილი საჩუქარი ჩაიწერება ჩემს გულში ამოუშლელი სიყვარულით და თანაგრძნობით თქვენდამი“.

ოთხ საათზე დამთავრდა სადილი და ხუთის ნახევარზე გამოვედით ქრებალოდან; ხალხი კიდევ მომატებოდა, ყველას უნდოდა ენახა მგოსანი; გაიარა მგოსნის ეტლმა თუ არა დაიგრიალეს: „გაუმარჯოს აკაკის“ და „ვაშა“, ამასთანავე შეიქნა თოფების და რევოლვერების სროლა. ასეთი ამბით მოვადექით რაჭის საზღვარს.

**ლადო ბზვანელი.**

(შემდეგი იქნება)

P. S. გავიარეთ ხვანჭკარის, სადმელის, ბუგეულის, ამბრალაურის, ნიკორწმინდის და წესის საზოგადოებანი და ვიმყოფებით ბარის საზოგადოებაში ს. სორში; 24 ივლისს შევალთ ონში, სადაც მგოსანს ელის საზოგადოება.

**ლ. ბ**

# ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო

**სოფ. კასპი** (ქართლი). კვირას, 29 ივლისს, ნაწირვებს, ადგილობრივ ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი პროფესორ ალექსანდრე სოლომონის ძის ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო ადგილობრივი და მთაგარაკე ინტელიგენცია გხელობა ნაკლებად იყო.

—

**ს. მეჯვრისხევი** (ქართლი) კვირას, 29 ივლისს, ადგილობრივ საზოგადოების მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ქართველ პროფესორ ალ. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად.

—

**ს. ბაკურიანი** (ქართლი). ადგილობრივი მღვდლის თაოსნობით კვირას, 29 ივლისს, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი პროფ. ალექ. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად.

—

**სოფ. პატარძეული** (გარე კახეთი). პანაშვიდი გადაეხადეთ განსვენებულ პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად.

**ს. მძიმრის დეკანოზი.**

**პიატიგორსკი.** ხახანაშვილის გარდაცვალება ვაია ჩვენთვის. მას კიდევ ბევრისაგან ბევრის გაკეთება შეეძლო ჩვენს ძვირფას საქართველოს სასარგებლოდ.

**ეპისკოპოსი დავითი.**

**კენისბურგი.** ღრმად დაგვამწუხარა ქართველ პროფესორის ალექსანდრე ხახანაშვილის უდროოდ დაკარგვამ.

**კენისბურგში მყოფი ქართველები.**

**ჰეიდელბერგი.** ვგლოვობთ პროფესორ ხახანაშვილის დაკარგვას.

**ჰეიდელბერგის ქართველობა.**

**კავკავი.** კავკაველი ქართველები უღრმესად სწუხან მგრძნობარე მამულიშვილის, პროფესორ ხახანაშვილის გარდაცვალებას. განსვენებულის სამეცნიერო შრომა და მისი პუბლიცისტური ნაწერები არ წარიხოცება ჩვენის მეხსიერებიდან.

**წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა.**

**კისლოვოდსკი.** ულრმეს თანაგრძნობას ვაცხადებთ, პატიოსან საზოგადო მოღვაწის, ხახანაშვილის გარდაცვალებისა გამო, რომელიც გულმოდგინედ და ერთგულად ემსახურებოდა სამშობლო ქვეყნის ინტერესებს.

**მანსვეტაშვილი და ჯინორიძე**

**ოზურგეთი.** განუზომელისა და გულწრფელის მწუხარებით ვიგლოვთ ჩვენი ეროვნულ სალაროს მკვლევარის დაუვიწყარ პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალებას, მან მთელი თავისი სიცოცხლე შეალია უდიდეს საქმეს-სამშობლოს და მეცნიერების სამსახურს. თუ ოდესმე საგრძნობ დაკარგვა მეცნიერისა, მით უმეტეს ქართველებისათვის, რომელნიც ღარიბნი ვართ ჩვენი გონებრივ ცხოვრებას განმავითარებელ და განმამტკიცებელ ძალებით. დღეს ბახმაროს მთაგარაკეთ გადაიხადეს პანაშვიდი დაუვიწყარ მეცნიერის სულის მოსახსენებლად. რომელმაც ეგოდენი სიმდიდრე შესწირა საზოგადო კულტურის სამსხვერპლოზე.

მთაგარაკეთა მონდობილობით **იასონ მოსეშვილი.**

**სურამი.** ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობას და მათთან მთელს გურიასაც გული დასწყვიტა საქართველოს ძვირფას შვილის პროფესორ ხახანაშვილის გარდაცვალებამ.

ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ერისთავი.

**სამარა.** უგულითადეს მწუხარებას ვაცხადებთ ძვირფას თანამემამულის ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის უდროოდ გარდაცვალებისა გამო, რომელმაც ეგოდენი იშრომა საზოგადო და სამეცნიერო ასპარეზზე თავის საყვარელ სამშობლოს საკეთილდღეოდ. და მისი დაუცხრომელი მოღვაწეობა სამშობლო ერის სულიერ და ზნეობრივ ამაღლების საქმეში, იყოს მოზარდ თაობისათვის მაგალითი, პატიოსან და ნაყოფიერ შრომისა, სინათლისა, ჭეშმარიტების და სამართლიანობის სამსხვერპლოსაკენ მისწრაფებაში.

ფიცხელაური, მიქელაძე, იორამაშვილი, ლამბარაშვილი, არდაზიანი, ნემსაძე, დევიძე, ქიქოძე, ფალავანდიშვილი, ლამბაშიძე, ლოლოშერიძე, დოდაშვილი, კაპანაძე.

# ა. ს. ხახანაშვილის ხსოვნას

ჩვენი საყვარელი მეგობარი გარდაიცვალა. როდესაც მიწვლდა სააკადემიო ცხოვრება და ყველანი მოდგენენ რუსეთის სხვა და სხვა ნაწილში, მანაც განისვენა, მოსკოვიდან სადღაც შორს, შორს იმ მოსკოვიდან, სადაც იმდენ ხანს მუშაობდა. საკადემიო მოსკოვი შემოდგომას შეიკრიბება და მის ხსოვნას პატივსა სცემს. მაგრამ ეხლავე გვსურს მის სამარესთან წარმოვსთქვათ არა მარტო უკანასკნელი „მშვიდობით, არამედ გვსურს გულითადი „მადლობა“ უთხრათ მრავალ სამეცნიერო და უანგარო ნაშრომისათვის, მისი კეთილ მოპყრობისათვის ყველა იმათდმი, ვისაც რამე საქმე ჰქონია განსვენებულთან და იმ თავდაბლობისაგან, რითაც იზიდავდა და ამშვიდებდა ყველას.

მოსკოვის ეტნოგრაფთა და არქეოლოგების წრეში განსვენებულმა ოთხმოციან წლების ბოლოსვე დაიწყო მუშაობა. მისმა გასაკვირველმა ცოდნამ, განსაკუთრებით კავკასიის შესახებ, ჩქარა გამოარჩიეს სხვებში და გადააქციეს სასარგებლო მოღვაწედ.

ალექსანდრე სოლომონის ძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და რუსეთის სიძველეთა და ისტორიის საზოგადოების სხდომებში. განსვენებული ბევრსა მუშაობდა აგრეთვე არქეოლოგთა ყრილობებისათვისა და ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესებისათვის. სხვა და სხვა საზოგადოებანი ხშირად გაჰგზავნიდნენ ხოლმე რისიმე გამოსაკვლევად, განსაკუთრებით თუ რამე შეეხებოდა ეთნოგრაფიასა, არქეოლოგიას, ეკლესიის ისტორიას და ძველ მწერლობას.

ალ. სოლ. დიდ-ხანს იყო ქართული სიტყვიერების პროფესორად ლაზარევის აღმოსავლეთის ენათა მოსკოვის ინსტიტუტში. 1900 წლიდან კი კითხულობდა ქართულ სიტყვიერებისა და ისტორიის ლექციებს მოსკოვის უნივერსიტეტშიაც. მოსკოვსა და სხვაგანაც ა. ს. იცნობდნენ, როგორც კარგს სპეციალისტს. ბევრ საკითხის გამო მარტოოდენ იმას თუ შეეკითხებოდნენ, ცნობებსა და დახმარებას მარტოოდენ მისგან თუ მიიღებდნენ ხოლმე. ყველას ენაზე მისი სახელი ეკერა, თუ კი მის სპეციალობაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე ლაპარაკი.

და რა სამწუხაროა, გულმომკვლელია, რომ ჩვენს მეგობარს მხოლოდ 46 წლის სიცოცხლე წერებულა! როდესაც გაზაფხულზე გამოვემშვიდობეთ, ყველას ეუბნებოდა, კავკასიაში მივდივარ, სამშობლოს კერასთან უნდა დავისვენოო. მაგრამ სიკვდილმა უფრო ადრე მოუსწრო სამარაში!

მშვიდობით!

(„რ. ვ.“) **ვლ. ბოგდანოვი.**

# კიდევ ჩვენ ხალხურს პოეზიაზე

(დასასრული)

„მხოლოდ ამ გზითაა შესაძლო ეროვნული საქმის შენება,—ამბობს ერთი მეცნიერი რუსებისა,—შენება იმ საქმისა, რომელიც ჰქმნიდა ძლიერ სახელმწიფოებს ერთი სულით, ერთი გულით. ეროვნული პოეზია—ესაა საუკეთესო იარაღი, ყველაზე უადვილესი და სასიამოვნო, რომ ჩაიხედო ხალხის ცხოვრებაში. სიმღერა, რომელსაც დამღერის დედა აკვანზე, ბავშვთა ცელქური სიმღერები, სადაც დაცულია კვალი უძველეს წარმართულ წარსულისა, საოჯახო ლექსები, ხშირად უსაზღვროდ ღრმანი, ხშირადაც „უშმაწვურნი“ ჩვენი შეხედულობით, ხან სახუმარონი, ხან ნაღვლიანნი, ხან სერიოზულნი, ხან უზრუნველობით აღსავსენი საქორწინო და საქირისუფლო, — ყველა ეს ისე შემოჰფარგლავს ერის ცხოვრებას, ყველა მისს კერძოობას და თავგადასავალს, მისს ბრწყინვალე და ბნელ მხარეებს, რომ მისი შინაარსის სიმდიდრესთან და ყოველმხრივობასთან ვერ მივა პოეზია საუკეთესო ლირიკოსებისა.

ვერავითარი სახელმძღვანელო, ვერავითარი ქრისტომატია ვერ შესძლებს გადმოგვცეს მთელი ეს სიმდიდრე აზრისა, გრძნობისა, სიმდიდრე და მრავალ ფერობა ამ ქმნილებისა. სასწავლო წიგნებში მარტო „მაგალითების“ მოყვანა შეიძლება. ამ მასალას რომ ღრმად და ფართოდ გაეცნოთ, საჭიროა მიმართოთ მეცნიერულს კრებულებს ლექსებისას, ზღაპრებისას, ანდაზებისას; საჭიროა ამათი წაკითხვა მთლიანად, თანაც უნდა ეცადოთ აღადგინოთ სულიერი მდგომარეობა მისი შემქნელი ერისა და შეიგნოთ ეს ნაწარმოები მთელის სიფართით. მაგრამ ასეთი გაცნობაც ერთ მხრივი გამოვა. საკმაო როდია მხოლოდ სახელმძღვანელო ბოტანიკისა, რომ შეიგნო თვისებანი და ცხოვრება რომელისამე ყვავილისა: ვერავითარი სიტყვით და სურათით ვერ გადასცემ ყვავილის სურნელობას და ფერადებს,—უნდა მინდვრად მიიქცე, რომ იქ დასტკბე მათით. მსგავსად ამისა, ეროვნულს პოეზიაშიაც არის სურნელობა, რომლის აწერა შეუძლებელი ხდება; რომ გაიგო „სიმღერა“, ან ზღაპარი“, უნდა მოისმინო, **როგორ მღერიან, როგორ მოუთხრობენ.** ესეც ცოტაა: საჭიროა შესაფერი მორთულობაც, რომ ეს პოეზია არ ემსგავსის ორანჟერეის მკრთალს ყვავილს. ხალხის პოეზია ისეა შეწოვილი ცხოვრებაში, რომ მისი ამოგლეჯა ცხოვრებიდან შეუძლებელია. მაშინ დაჭკნება და დაჰკარგავს ყოველს სიმშვენიერეს სიახლისას და ცხოველმყოფელობისას. ამიტომაცაა რომ თუ გინდა გაიგო [illegible] ფხულის **სიმღერების** [illegible], უნდა გახვიდე [illegible] ლის სურნელებით აღსავსე [illegible], და იქ მოისმინე—იგრძნო იმ სიმღერებს, რომელთაც მღერიან გოგო-ბიჭები. უნდა უცქირო მხიარულს ფერხულს მწვანე მინდორზე ჩაბმულს, უნდა შეიხედო გლეხის ქოხში იმ წუთს, როცა იქ კაზმენ გოგოს და ამზადებენ გვირგვინისათვის, უნდა დაესწრო ზამთრად ბნელს ქოხში, სადაც ქარბუქი ზუზუნებს ფარდულებში და მოხუცებული ბაბუა მბჟუტავი კვარის შუქზე კბილებ ჩაცვივნული ჩიფჩიფით მოუთხრობს ზღაპრებს დიდებს და პატარებს... მხოლოდ ამ პირობებში ჰპოულობს ეროვნული ზეპირი პოეზია შესაფერს მშვენიერებას და ფასს“...

ამას დაუმატეთ ისიც, რომ სულ თავისებურად სცხოვრობს, მღერის, ცეკვავს თუ მოგითხრობს, სვანი, რაჭველი, მეგრელი, იმერელი, გურული, აჭარელი, ქიზიყელი, ახალციხელი, ფშავი, ხევსური. როგორ უნდა გაითვალისწინო ეს სხვა და სხვა ფერობა, თავისებურობა, ეს ინდივიდუალური, სპეციფიკური ელფერი თვითეული კუთხისა, თუ არა ადგილობრივ ნახვა-შესწავლით და ცალკე კრებულების გამოცემით?

საჭიროა სოფლად კრეფა ხალხის ზეპირ თქმულებებისა, მათი სინამდვილით ჩაწერა და გამოცემა, ამ შემთხვევაში ჩვენი პირველი იმედი უნდა დავამყაროთ გარდა თითო ოროლა ერთგულ მუშაკებისა, სოფლის მასწავლებლებზე და მღვდლებზე, ესენი მუდამ სოფლად ტრიალებენ, ხალხსაც იცნობენ, მათ მიჰყონ ხელი ამ საქმეს და მალე დარწმუნდებიან, რომ უკეთესს ვერას გაუკეთებენ ხალხსა და სამშობლოს, ეს საქმე მათთვის ადვილია.

ევროპამ ამ ბოლო დროს ალღო აართო ჩვენს ეროვნულ მუსიკასა და პოეზიასა; იწყეს შესწავლა კიდეც. ვინაა ვალდებული, რომ ხელი შეუწყოს მათ?

უნდა აღვიჭურვოთ ნოტის ცოდნით, ყარანდაშით, ქაღალდით, გრამოფონით, ვიაროთ, ვსწეროთ და ვილოთ ხალხური მუსიკა—პოეზია. ამასთანავე სტიპენდიები ექიმებსა და ბუნებისმეტყველ—დარვინისტებს კი არ უნდა ვაძლიოთ, არამედ ჩვენ ნიჭიერ მემუსიკეებს—კომპოზიტორებს—მომღერლებს, მხატვრებს, ფილოლოგებს, რომელთაგანაც რაღაცას ველით. ეს საქმე ყურადღების ღირსია და მივაქცევ მაზე ჩვენ კულტურულ დაწესებულებათა ყურადღებას.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 663.

---

მშვენიერთათვის პეპლები დატრიალობენ, ცელქობენ, მგოსანთ ზეალმაფრენას უღძრავენ.

პეპელებო! დაჰყდგეთ დღე სიხარულისა, ბედნიერებისა! ოჰ, პეპელავ, რა მშვენიერი რამა ხარ! არაფერია შენზე ლამაზი, ტურფა! ყველა მწერები შენ შემოგხარიან, შენი ჰშურთ. მაგრამ არა მარტო ისინი: ადამიანის გულშიაც სძრავ აღტაცების, შურს. ჩინეთში სოშუმ ძილში შენი სახე მიიღო, იაპონიაში საქოქუს სული სიკვდილის შემდეგ ფრთიან პეპლად იქცა. უსულო საგნებიც კი სცდილობენ შენ დაგემზგავსნენ —ქერიც კი იქცა პეპლად.

და გაამაყდი, გაამპარტავნდი შენ, პეპელავ! გგონია მთელს ქვეყანაზე შენი დარი არავინ იყვეს! ვიცი შენს გულში რაცა ხდება: ძალიან მოგაქვს თავი! თვითეული სიოს მობერვა გიტაცებს, გაზვიადებს; შენ მუდამ დაფრინავ, სტრიალობ, ერთს წუთს არ ისვენებ და თავი ქვეყანაზე უბედნიერესი გგონია.

მერე, აბა მოიგონე შენი სიცოცხლე! ღირს კი ჩაუფიქრდე, აქვს მას ულამაზო, ბნელი მხარეც. როგორ, ულამაზო, ბნელი მხარე? — დიახ. ქვეყნად რომ გაჩნდი ვერაფერი შვილი იყავ. ერთი საცოდავი მატლი, მატლი საძაგელი, ბუნგლიანი, ლატაკი. ვერაფრით დაგეფარა სიტიტვლე, წუწკი იყავ, საზიზღარი. ყველანი ზიზღით თვალს გაშორებდნენ. დიახ, საბუთი გქონდა შეგრცხვენოდა, გაწითლებულიყავ. შენ ისეც შეკრთი, დაიბენი, რომ კიწაწებისაგან გაიკეთე ბუდე, ჩამოჰკიდე ტოტზე და შიგ დაიმალე. მაშინ მინო-მუში, მწერი წამოსახსამი*) დაგარქვეს. უჰ, მაშინ დიდი, დიდი ცოდვები გაწვა კისერზე: შენ და შენმა მეგობრებმა დაამახინჯეთ, გაკორტნეთ ალუბლის მწვანე, ნაზი ფოთლები. გაზაფხულზე ხალხი შორიდან მოდიოდა, რომ ალუბლის ყვავილის მშვენიერებით დამტკბარიყო, მოდიოდა სიხარულით, მოუთმენლობით, დაღრღნილ ფოთლებზე კი შენა გხედავდნენ და ზიზღით ბრუნდებოდნენ უკან. მაგრამ კისერზე მეტი ბრალი გაწევს: შენ იცოდი, რომ დაიკონს**) ღარიბი, მშიერი ქალი და კაცი რგგავდა მინდორში, წელებზე ფეხს იდგავდნენ პაპანაქება-სიცხეში, მუშაობდნენ, ვიდრე არ დაეცემოდნენ, რადგან მძიმე იყო სამუშაო, სილატაკე კი ღრღნიდა მათ... შენ კი წაალდინე შენი დამქაშები და დაიკონზე და სხვა მწვანილეულობაზე წაიყვანე, რომელიც ოფლით იყო მორწყული. თქვენი ღორ-მუცლობით გაანიავეთ, გაკორტნეთ მწვანილეულობა, დაამახინჯეთ. არ შეიბრალეთ ლატაკი, მშიერი ხალხი...

ბოროტი იყავ, ურგები და ბოროტ, ურგებ საქმესაც სჩადიოდი...

ეხლა კი დაფრინავ, დაპროწიალობ, ყველასა ჰხიბლავ სილამაზითა და ძველი მეგობარი-მწერნი კი გძულს, შემთხვევით რომ შეხვდე, ზიზღით თვალს არიდებ, თითქოს არც კი იცნობდე. ეხლა მხოლოდ მდიდარ, წარჩინებულ მეგობრებს ეძებ... დაგავიწყდა ძველი დრო, დაგავიწყდა შენი თავი?..

ბევრმა დაივიწყა შენსავით ძველი დრო. მგოსნები, შენის სილამაზითა და შენის ფრთების სიფითრით ზეაღფრენილ ქებას გასხავენ იაპონურ და ჩინურ ლექსებში. მდიდარი ქალწულნი, რომელნიც წინად ზიზღით იბრუნებდნენ შენგან თვალსა, ეხლა კი სიამოვნებით შემოგყურებენ და მარაოს გიშვერენ, რომ ზედ დაჯდე.

მაგონდება ძველი ჩინური ამბავი, სადაც შენ ვერაფერ შვილადა ხარ გამოყვანილი. ხელმწიფე ჰენზოს დროს სასახლეში მრავალი მზეთუნახავი სცხოვრობდა, ერთი მეორეზე უკეთესი, ისე რომ ძნელი იყო იმის თქმა, რომელი იყო ყველაზე უკეთესი. ერთხელ ისინი ყველანი ბაღში გაიწვიეს და შენ შინ გაგიშვეს. ჰენზომ გადასწყვიტა ის შეეყვარებინა, ვის თმის ქინძისთავსაც შენ შეეხებოდი ფრთებით. იმ დროს ხელმწიფის ცოლი მხოლოდ ერთი უნდა ყოფილიყო და ეს ბრძნული, კარგი ჩვეულება იყო. მაგრამ შენ დიდი უბედურება დაატეხე ხელმწიფე ჰენზოს და მთელს ქვეყანას... მზეთუნახავთ შორის იყვნენ, რასაკვირველია, წმინდანი გულით, ამაღლებულნი სულით. შენ კი მხოლოდ გარეგნულ სილამაზეს უყურებდი და აირჩიე ის, ვინც უფრო მიმზიდველი იყო სახითა და ტანით. მაშინ სასახლის ბანოვანთ მხოლოდ იმაზე იწყეს ფიქრი თავის გარეგნობით როგორ ჩაექირათ თავიანთ კლანჭებში მამაკაცები. ხელმწიფე ჰენზო კი სამარცხვინოდ, საბრალოდ მოკვდა. ამის ბრალი შენი თავქარიანობა იყო. შენი ქარაფშუტობა თვითეულ ფეხის გადადგმაზე მოსჩანს. რად ერიდები მუხას ან ფიჭვს? მათი მუდმივი სამოსი არა სჭკნება, არა სცვივა, მათ მაგარი გული აქვთ, სული ძლიერი. მაგრამ მათ გაურბი, არ გიყვარს, გეზარება მათთან ყოფნა, გწყინდება. შენ მხოლოდ ალუბალი გიზიდავს, ქაიდო, იორდასალამი (მცენ.), ჩაის ვარდი. გიყვარს ისინი თვალისმომჭრელ ყვავილებისათვის, სცდილობ მოეწონო მათ. კარგი არ არის ეგა! მათი ყვავილი მართალია კაცს ჰხიბლავს, ატყვევებს, მაგრამ ნაყოფი არა აქვს, სიმშილის მომკვლელი. მხოლოდ მედიდურობა უყვართ, სილამაზე. ამიტომაც სტკბებიან შენით, შენი სილამაზით, შენი ფრთების ნაზი ცქრიალით, მხოლოდ ამიტომ გიშლიან გულსა რომ დაგინახვენ და თავისთან გიწვევენ.

„გაზაფხულობით ცელქობით დანავარდობ მშვენიერ ბაღებში, დაჰფრინავ ალუბლის სურნელოვან ხეივანში და ჰფიქრობ: „ვინ არის ქვეყანაზე ჩემზე ბედნიერი? ვისა ჰყავს ასეთი ტურფა მეგობრები?! რაც უნდა სთქვას ხალხმა, ჩემთვის ერთია, მე მაინც მიყვარს იორდასალამი და ვარაყოვან ვარდს უყვარვარ მე. მე მათ სიტყვას მივდევ. ამაშია ჩემი ბედნიერება, სიხარული, ჩემი სიამაყე!!..“ ასე ამბობ შენა. მაგრამ დიდი დღე არა აქვს გაზაფხულსა. ყვავილები სწრაფად სჭკნება, ფოთოლი სცვივა. დადგება ზაფხულის ცხელი დღეები და მწვანე სამოსის მაგიერ ხეები წითელ-წითელ ნაყოფით იმოსებიან. შემდეგ კი, როცა აწუწუნდება შემოდგომის ქარი, შრიალშრიალით აატრიალებს გამხმარ ფოთლებს, ვით წვიმა ფარარი-ფარარი; გაგახსენდება ანდაზა „თანომი ქი ნო შითანი ამე ფურუ“ (ხის ტოტებში, სადაც შევაფარე თავი, შრიალით ჩამოდის წვიმა). მაშინ მიმართავ შენს ძველს მეგობართ, მგრაგნელ ჭიას, შეეხვეწები შენს სოროში დამფარეო, მაგრამ შენ ფრთები გაქვს, დაგიშლიან, ველარ შეძვრები ძველებურ თბილს ბუნაგში. ბინას არავინ მოგცემს. ხავსი მთლად გახმება, ერთი ცვარი არსად იქმნება წყურვილის მოსაკვლელი. დაწექ, პეპელავ, დაწექ და მოკვდი, სხვა გზა არ არის... ყველაფერი კი შენი თავქარიანობის ბრალია, ოჰ, რა საბრალო ბოლოა!!..“

*

მგონია მეტი წილი იაპონურ ზღაპრებისა პეპლებზე, ამოკრებილია ჩინურ წყაროებიდან. მაგრამ ერთი ვიცი, რომელიც, უეჭველია, იაპონიაში გაჩნდა. აი, გიამბობთ. ეს ზღაპარი დაგანახვებთ, რომ ტყუილია ის აზრი, ვითომ შორეულ აღმოსავლეთში „რომანტიული სიყვარული“ არ არსებობს.

სატახტო ქალაქის გარეთ-უბანში, სოზანჯის ტაძრის სასაფლაოს იქით დიდი ხანია იდგა ერთი პატარა სახლი. აქა სცხოვრობდა მოხუცი თაქაჰამა. კეთილი იყო თაქაჰამა, მოსიყვარულე, ამისთვის უყვარდათ ის მეზობლებს, მხოლოდ ერთი რამ ძალიან აკვირვებდათ—ის, რომ ცოლს არ ირთავდა, ოჯახს არ ეკიდებოდა. ყოველი კაცი, თუ ბუდასთვის აღთქმა არ დაედო არ შეერთო ცოლი, უეჭველად უნდა დაოჯახიანებულიყო. თაქაჰამა კი, თუმცა სარწმუნოებრივ კავშირს არ ეკუთვნოდა, ქორწილზე არა ფიქრობდა. არავინ იცოდა-როდისმე უყვარდა ვინმე თუ არა. ორმოცდა ათი წელიწადი გავიდა, თაქაჰამა უცოლშვილო იყო, მარტოკა.

ერთხელ მოხუცი ავად გახდა, იგრძნო სიკვდილის მოახლოება. დაიბარა თავის ქვრივი რძალი და ოცი წლის ძმისწული, იმისი შვილი, რომელიც ძალიან უყვარდა. ისინი მოვიდნენ. ხან დედა, ხან შვილი, სცდილობდნენ ეწუგეშებინათ თაქაჰამა, გაექარვებინათ უკანასკნელი წუთი. სამხრობის დრო იყო, პაპანაქება. დედა-შვილი მოხუცს გვერდით უჯდა. ავადმყოფს ჩაეძინა. უცებ ოთახში შემოფრინდა დიდი თეთრი პეპელა და ავადმყოფის ბალიშზე დაჯდა. ყმაწვილმა ის მარათო ააფრინა, პეპელა ისევ დაჯდა. კიდევ ააფრინეს, პეპელა კიდევ დაბრუნდა. ყმაწვილმა მაშინ პეპელა ბაღში გააფრინა, იქიდან კი სასაფლაოზე. მაგრამ ყმაწვილს ის არა შორდებოდა, თავს დასტრიალებდა, თითქოს უკმაყოფილო იყო. პეპელა ეს თუ მა*) გაიფიქრა ყმაწვილმა, პეპელა რომ აღარ ეშვებოდა.

მან ის კვლავ სასაფლაოსკენ გააფრინა. პეპელა გაფრინდა, ერთი ქალის საფლავზე დაჯდა და უცებ გაჰქრა. დიდხანს ეძებდა ყმაწვილი პეპელას, დაათვალიერა საფლავი. საფლავის ქვაზე უცნობი ქალის გვარი და სახელი ამოიკითხა-აქიქო, ქალი 18 წლისა მომკვდარიყო... ეტყობოდა საფლავი ესე ორმოცდაათი წლის იყო, უკვე ხავსი მოჰკიდებოდა, მაგრამ კარგად იყო მოვლილი; მოერთოთ ყვავილებით, ჭურჭელიც, ეტყობოდა, ახლად აევსოთ წყალით.

ყმაწვილი სახლში რომ დაბრუნდა, მოხუცი მკვდარი დახვდა. ძილში მშვიდად, ნაზად, სიყვარულით ჩაჰკონებოდა სიკვდილი... მიცვალებულს სახეზე ღიმი უკრთოდა...

პეპლის ამბავი ყმაწვილმა დედას უამბო.

— ეგ აქიქო იყო აქიქო!

— ვინ აქიქო? ჰკითხა შვილმა.

— კეთილი ბიძაშენი რო ყმაწვილი იყო,—მოუყვა დედა,—მოხიბვლელი აქიქო შეუყვარდა, მეზობლის ქალი. დაინიშნა კიდეცა. ის იყო ჯვარიც უნდა დაეწერნათ, რომ აქიქო ჭლექით მოკვდა. თაქაჰამას წუხილს საზღვარი არა ჰქონდა. აქიქოს სიკვდილის შემდეგ დაიფიცა ცოლი არ შეერთო. იმის საფლავის ახლოს რომ ყოფილიყო, მან ეს სახლი აიშენა. ორმოცდაათ წელზე მეტია მას აქეთ. ამ ხნის განმავლობაში ბიძაშენი ყოველდღე, ზამთარზაფხულ, დადიოდა სასაფლაოზე, აქიქოს საფლავთან ლოცულობდა, რთავდა ყვავილებით, უვლიდა, სწირავდა, საწირავს. მაგრამ არ უყვარდა სხვას ვისმე რამე ეთქვა ამის შესახებ, არაფერს ამბობდა თვითონაც... დღეს კი აქიქო პეპლის სახით მოვიდა ამის წასაყვანად...

**სან—განიძე.**

*) რადგან პარკი იაპონელ გლეხის ჩალის ხაწვიმო წამოსახსავს უგავს.

**) ბოლოკი.

*) ბოროტი სული.

საბუთიცა გვაქვს ამისა. ხშირად ჩვენი კაპეიკები უმნიშვნელოთ, უაზროთ იკარგება. მაგალითად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთს ნორჩს განყოფილებას გადაუწყვეტია თავისი მოღვაწეობის უმთავრესს მიზნად სახალხო წიგნების ბეჭდვა დაისახოს და პირველ წიგნად **დარვინის თეორია დაუბეჭდით!** ნუ თუ სარაჯიშვილები, ღოღობერიძეები, გოგებაშვილები და სხვა ქირისუფალნი ჩვენი ერისა იმისთვის უტოვებენ მათ ფულებს, რომ დარვინის თეორიები ბეჭდონ!?

ახლანდელი **„სოციალიზმის“** ხანაში სირცხვილად მიაჩნიათ ქართველობა და ქართველების საჭიროებაზე ზრუნვა. ავიწყდებათ რომ ამ სოციალიზმის დროს ისე გამწვავდა ეროვნული საკითხი, ისე გაფანატიკოსდა ყველა ერი ეროვნულ საკითხებში, როგორც არაოდეს. აიღეთ სოციალიზმის სამშობლო-ბუდე გერმანია. გერმანია საერო საკითხებში, საკუთარ პოლიტიკაში ყველაზე უფრო თავგამოდებულია და ფანატიკოსიც. აბა წაართვით ან სთხოვეთ მათ ერთი მუჭა, ერთი დაჯ კომა მიწა, თუ ქვა და გუნდა არ მოგაყარონ, შეეხეთ მათ თავმოყვარეობას, ეროვნულს ინტერესს, თუ მთელი ფლოტით და არმიით არ მოგესივნენ. დიაღ, ბებელის სამშობლო სოციალიზმსაც თავგამოდებით ქადაგებს და ამავე დროს ყველა ერებსაც სჭარბობს ეროვნული საკითხების თავის სასარგებლოდ გადაწყვეტაში. ჩვენ კი ლუკმას ვიღებთ პირიდან და იმას ვაწვდით სოციალიზმის სახელით, ვისაც ისედაც ბევრი აქვს.

დასასრულ, ულრმესს მადლობას ვწირავ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას, იმ ყურადღებისათვის, რომლითაც იგი შეხვდა ჩემს წინადადებას შესახებ ჩემ მიერ შეკრებილი მასალისა ქართულ ზეპირ-სიტყვიერებიდან.

**მღ. მ. კელენჯერიძე.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

31 ივლისი.

**ოსმალეთის ვითარება.**

**სტამბოლი.** დილას მიწა ძლიერად იძრა. ჰელესპონტის ნაპირებზე დაზარალებულ სოფლებისაკენ ხუთი გემი გაჰგზავნეს. ბევრი დასახიჩრებულ-დაშავებული ჩამოიყვანეს ქალაქში.

მთავრობის ცნობაში, სასტრატეგიო მოსაზრებით, არა არის რა ნათქვამი დარდანელის დანგრევისა. ნამდვილად კი მიწის ძვრამ ძლიერ დააზარალა დარდანელი. ქალაქი თითქმის მთლად დანგრეულა; დანგრეულა აგრეთვე, სხვა საკონსულოებთან ერთად, საბერძნეთის საკონსულოც. ბევრგან ყაზარმებიც დანგრეულა.

**ალბანელები.**

**სტამბოლი.** ეტყობათ, ალბანელებმა აქტიურ მოქმედებას თავი დაანებეს. კომისიასთან სამშვიდობო მოლაპარაკება სწარმოებს, მაინც ძლიერ გადაჭარბებულად მიაჩნიათ ალბანელების მოთხოვნილებანი.

**როსტომ-ბეი.**

**სტამბოლი.** ცეტინიეში მყოფ ოსმალეთის ელჩს როსტომ-ბეის, რომელსაც თავის ნებით გაუგზავნია ჩერნოგორიისათვის ულტიმატუმი და შემდეგ კატაროს წასულა, დაითხოვენ და სხვა თანამდებობას მისცემენ. როსტომ-ბეის აბრალებენ, „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის წევრი ხარ და განგებ მოინდომე მდგომარეობის გამწვავებაო.

**იუკიჩის საქმის გარჩევა.**

**ზაგრები.** ხორვატიის ბანის (მეფის ნაცვლის) ცუვაის მოკვლის განზრახვის გამო სასამართლოს გადაუწყვეტია: იუკიჩისათვის-ჩამოხრჩობა, ერთისათვის ექვსი წლისა, ხუთისათვის ხუთი წლისა და ერთისათვის ნახევარი წლის ციხე. ოთხი კაცი გაუმართლებიათ.

**მაროკოს ხონთქარი.**

**პარიზი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ გენერალ ლიოტესაგან მიიღო დეპეშა, რომელიც ადასტურებს იმ ამბავს, რომ ხელშეკრულების ძალით მულაი-ჰაფიდმა 30 ივლისს ტახტზე ხელი უნდა აიღოს.

დაამტკიცეს გენერალ ლიოტეს ხელშეკრულება მაროკოს ხონთქარ მულაი-ჰაფიდთან დადებული. საფრანგეთში წასვლამდე მულაი-ჰაფიდმა ტახტზე ხელი უნდა აიღოს. მემკვიდრედ მისი რომელიმე ძმა იქნება.

**პუანკარეს რუსეთს ჩასვლის გამო.**

**პარიზი.** „ტანი“ აღნიშნავს, რუსეთის გაძლიერება აღმოსავლეთში იტალიისათვის საშიშო არ უნდა იყვესო, რადგან რუსეთი ხელს არ შეუშლის იტალიას აფრიკაშიო და ბალკანეთსაც იმ თვალით უყურებს, რანაირადაც იტალიაო.

**მაკედონელები.**

**სოფია.** მაკედონელებმა დაარსეს მაკედონიის განთავისუფლების ომის კომიტეტი და ხალხში ცხარე მოწოდებებს ავრცელებენ: 31 ივლისს კრებაზე მოდით განმათავისუფლებელ—მეფის ძეგლთანაო. 29 ივლისს რამდენსამე ქალაქში დიდი კრებები გაუმართავთ და დაუდგენიათ მთავრობას მტკიცედ გადაჭრით მოსთხოვონ მაკედონიისათვის ავტონომიის მინიჭება.

**რ უ ს ე თ ი**

**ლენის მუშები.**

**ირკუტსკი.** ერთი დღის განმავლობაში ჩელიაბინსკისაკენ ჩაიარა ლენის ამხანაგობის 700 მუშამ.

**ყალბის ფულის მომჭრელნი.**

**მოსკოვი.** დააპატიმრეს 25 კაცისაგან შედგენილი ბრბო. ბრბო ყალბ ფულსა სჭრიდა და საკრედიტო საზოგადოების კუპონებს ამზადებდა თურმე.

**ხანძარი.**

**მოგილევი.** დაბა კრიჩევში ვიღაცას ცეცხლი წაუკიდებია სახლისათვის; გადამწვარა 114 კომლი, აფთიაქი, სკოლა და საპყართა თავშესაფარი.

სოფელ ბოდოტცაში გადაიწვა ეკლესია და 54 კომლი.

**ტიინსკი.** სტავროპოლის მაზრის დ. ტიინსკში გადამწვარა 400 კომლი. დიდძალი პური დამწვარა.

# უცხოეთი

**ახალგაზდა ოსმალთა ახილი დამარცხება.**

„ერთობისა და პროგრესის“ პარტიას არა ჰსურს იარაღის დაყრა. პარტიის რამდენიმე გამოჩენილი წევრი სალონიკს მივიდა, რათა იქაური ჯარის შემწეობით საპროტესტო მოქმედება მოეწყო ახალ სამინისტროს წინააღმდეგ. წარსულ ორშაბათს პარტიულ კლუბის სადგომში შეკრებილა 100 მდე მხედართმთავარი, შეუდგენიათ საპროტესტო დეპეშა და პირდაპირ ხონთქრის სახელზე გაუგზავნიათ. მეორე დღეს სამინისტროს მომხრე აფიცრებს პროტესტი განუცხადებიათ ამხანაგების ასეთ მოქმედების წინააღმდეგ კორპუსის უფროსთან და უთხოვნიათ, ნება მოგვეცი მაგ დეპეშის საწინააღმდეგოდ ახალი დეპეშის შედგენისა, რადგან იგი ჩვენ დაუკითხავად გაგზავნესო, უფროსს არა თუ ნება დაურთავს, თვითონაც მოუწერია ხელი და დაუმატებია: კორპუსი მუდამ ერთგული იქნება თავისი მოვალეობისა და არ ჩაერევა პარტიათა შორის ბრძოლაშიო. ახალგაზდა ოსმალთათვის ასეთ კონტრ-დემონსტრაციას დიდად მავნე მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მათი გავლენა ისედაც დიდად დაცემულია ხალხის თვალში.

**ალბანეთის აჯანყება.**

პარლამენტის დათხოვნის შემდეგ ალბანელების მეთაურებმა კვლავ განაახლეს მოლაპარაკება მოთხოვნილების დანარჩენ მუხლების თაობაზე. საფიქრებელია, რომ მთავრობა მოთხოვნილების ყველა მუხლს დააკმაყოფილებს გარდა ავტონომიისა. მოძრაობის ბელადები, განაგრძობენ ბრძოლას სამხრეთ ალბანეთში ავტონომიის მოსაპოებლად. ამისს ნიშნები ახლაცა სჩანს. ამდენ ხანს შეთანხმებულად მომქმედი, მეამბოხე მხედრობა და ალბანელები განშორდენ ერთმანეთს იმ მიზეზის გამო, რომ პარლამენტის დათხოვნამ ვერ დააკმაყოფილა ალბანელები. ასეთი გათიშვა გუშინდელ მოკავშირეთა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება ოსმალეთის შინაურ ცხოვრებისათვის, ვიდრე ახალგაზდა ოსმალთა კონტრ-რევოლუცია.

**ოსმალეთი და ჩერნოგორია,**

ოსმალეთ-ჩერნოგორიის საზღვრებზე მომხდარმა შეტაკებამ სერიოზული მიმართულება მიიღო. ოსმალეთის ელჩმა დამაკმაყოფილებლად ვერ სცნო ჩერნოგორიის მთავრობის პასუხი და განაცხადა, რომ იგი ხვალვე დასტოვებს ცეტინიეს, თუ ჩერნოგორია გარკვეულსა და საკმაო პასუხს არ მომცემსო. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის მთავრობა ვერ არის კმაყოფილი თავისი ელჩის მოქმედებისა და განზრახვა აქვს სტამბოლში დაიბაროსო.

# წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ყველა იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელნიც დაგვეხმარენ სოფ. ჯიოტაში ქართულ წიგნთ საცავ-სამკითხველოს დაარსებაში. „სია ამ პირთა შემდეგია“. ბ.ბ.-თ: ს. გორგაძეს, რომელმაც შემოსწირა თავისი „ისტორია“ და „წყობილ-სიტყვაობა“, კ. თავართქილაძეს, მასწავლ. ალ. გორგაძეს, რომელმაც შემოსწირა ფულად 8 მან. და დაგვპირდა „სახალხო გაზეთის გამოწერას, სტუდენტთ: იოსებ და ვარლამ ლალიშვილებს, რომელთაც გამოგვიწერეს ერთი წლით „ნაკადული“ და „ჯეჯილი“.

დასასრულ ულრმეს მადლობას ვუძღვნით ბ. გ. ხევცორიანს, რომელმაც უფასოდ დაგვითმო ბინა სამკითხველოსთვის და აგრეთვე ახალგაზდა მგოსანს კიკნა-ფშაველას, რომელმაც შემოსწირა გაზ. „თემის“ ერთი წლის ნომერები...

პატივისცემით **ვ. გორგაძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**(საზაფხულო).**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. ხ ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: სააგარაკო მატ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ. და საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 407, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ~ ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ. და სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ. და სახ.** № 110/114, ღამ. 8 ს. 33 წ.

## გემების მიმოსვლა

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედესერიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. **„კავკაზი მერკური“** ტელ. 682.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები: 1, 2—ი მ. ფომინა-ოხიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 1, ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა. 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები ძღვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71


# განცხადებანი

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საშვილოს., ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საშვილოს, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საშვილოს. დ. ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ გასარდიანი.**

(წ. 1078.117)

## დაბა სამტრედია

**ახალი აგურხანა.**

ვამზადებთ დიდ ზომის აგურებს **6X3X1½ ვერშოკ. ზომიანს.**

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ კარგი ღირსებ სა ზომიერ ფასებში. ყოველივე დაკვეთა სისწრაფით სრულდება.

პატივისცემით **პორფირე ჭეიშვილი.**

(თ. 1338.19)

## სახელოსნო და საწყობი ძეგლებისა.

**ძმ. აგლაძეების.**

**მიხეილის პროსპ. № 48.**



ვღებულობ ყოველნაირს მარმარილოს, ლაბრადორის გრანიტის და ყოველნაირ მოზაიკის სამუშაოს, იტაკებსა და სხვებს ხელმისაწდომ ფასებში.

(ს.—522—17)

გამოსულია და იყიდება
**ნ. შიუკაშვილის**
პიესა **„მეგობრობა“** დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

## ცინკოგრაფია

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ**

**კლიშეების დამზადებას.**

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.15)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

**თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.**

**ყურადღება!**

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მიიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო

**ხიზილალა,**

გირვანქა 1 მ. 60 კ.

(წ.1131.220)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:**

შ. არაგვისპირელი. ნაწერები წიგნ. მეოთხე ფასი . . . 50 კ.
ს. კაკაბაძე. თამარ მეფე და მისი მნიშვნ. საქართ. ისტორიაში 15 „
Е. Такайшвили. Опис. рукописей О-ва распрост. грам. ср. Груз. нас. Т. II. в. IV. . . 1 მ.
ნ. სულხანიშვილი. ქართ. საეკ. მუსიკ. „ღმერთი უფალი“, 1 ხმა 35 „
მღ. მ. კელენჯერიძე. აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი . . . . . 25 „
თეორია სიტყვიერებისა, მეორე შესწორებ. გამოცემა მისივე 40 „
წმ. ნინოს დღეობა და მისი მნიშვნელობა ორი სიტყვა ეპისკ. ლეონიდისა და მღ. მ. კელენჯ. 5 „
დარვინიზმი, თარგ. ი. ფანცხავასი, ახალი გამოც. . . 25 „
გრდემლი, სალიტ. კრებული 1—50 „
ბესიკი, ლექსები . . . . 1 მ.
ა. ახნაზაროვი. ლექს. და სცენ. 60 „
ა. წულაძე. ფუტკ. და მეფუტკ. 80 „
აკაკი. ჩემი ნაწერები წ. I, . 75 „
ა. ფურცელაძე. ბრძოლა საქარ. მოსასპ. და საქ. შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო . . . . . 1 მ.
И. Ростомашвил. Основное начало раз. и дешеваго земледѣлія 15 „
И. И. Р Долой болѣзны . . 20 „
ს. გორგაძე. ქართული წყობილ-სიტყვაობა . . . . . 30 „
თ. გ. ერისთავი. ძუნწი . . 5 „
უცხო სიტყვათა ლექსიკონი 20 „
მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი 10 „
ტრ. რამიშვილი. ორი პიესა, შეშლილნი და კრიტიკოსთან 25 „

**ადრესი:** Тифлисъ, О-ко распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1411.88).

## ე. ა. ცატუროვის საწყობში

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**

ფირმა არსებობს 1869 წლიდან

**იყიდება ნავთის სახურებელი ინვერტის ფარნები „იზა“,**



გარედ გასანათებლად 200, 1100 და 1800 სანთლის სინათლისა, ოთახში 200 და 300 სანთლის სინათლისა ეწინააღმდეგება: ქარბუქს, წვიმას, ქარს, თოვლსა და ყინვას. 100 და 1800 სანთლის სინათლიანი „იზა“-ს ფარნები ავტომატიურად ინთება, უპატრონოდ მოქმედობს, არ საჭიროებს მავთულებს და ტუმბოს. საათში ნავთი უნდება: 200 სანთლის სინათლიანს 25 მისხალი.
1100 „ „ . 32 „
1800 „ „ . 80 „

სრულიად უბრალო და მაგარი კონსტრუქციისაა, და ამიტომ ფანრის ნაწილებს **გამოცვლა არა სჭირდება. სრულის თავდებობით,** რომ ფარნები კარგად იმუშავებენ. ერთი წლის განმავლობაში **გაფუჭებულ ნაწილების უფასოდ გამოცვლა.** ვურჩევთ ქუჩებისა, სახლებ-სა, ეზოებისა, საწყობებისა, ყაზარმებისა და ფორტების გასანათებლად და სხვა. ერთის წლის განმავლობაში **უფასოდ გამოვცვლით გაფუჭებულ ნაწილებს.**

**ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია.**

**ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიასა, სპარსეთსა და ოსმალეთში**

**საწყობი ე. ა. ცატუროვისა, ტფილისში.**

აქვე შეიძლება შეკვეთა ელექტრონის განათების მოწყობისა, დიდის შიგ რჩევით **საელექტრონო არმატურისა;** შე ვეთილ საქმეს ასრულებენ სწრაფად და საუკეთესოდ (10 1393.7)

## 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

**„ნაკადული“-ზე**

**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

24 **წიგნი „ნაკადულისა“** მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი „ნაკადულისა“** მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій про п. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** გ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოცაშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1393—91 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოანეს ძე თუმანიშვილი.**